ნეოგაზი NEOGAS

№ 6816-4

19 აპრილი 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ნეოგაზი", თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა #6-ში არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით ვეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას და ექსპლუატაციას.

ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-II დანართის, მეექვსე პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიშის მომზადებას, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია **shape** ფაილებთან ერთად.

პატივისცემით,

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი

დირექტორი

შპს „ნეოგაზი", ს/კ 405037213, გაზაფხულის ქ. № 18, თბილისი, საქართველო, 0177
Ltd "Neogas", ID 405037213, # 18 Gazapkhuli Str, 0177, Tbilisi, Georgia, Tel: +99532 221 03 31
E- mail: info@neogas.ge Web: www.neogas.ge

№ 7000
20 04 2021